ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 254
სამშაბათი, 21 ნოემბერი, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 254
სამშაბათი, 21 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ნოემბერს.

## ქართული თეატრი
**ხუთშაბათს, 23 ნოემბერს,**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

### ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა**

I

### ბამშანი

დრამა 5 მოქმედ. პაჟინსკისა თარგ. მარჯანიშვილისა.

II

### მათიკო

მესამე მოქმედება ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება ქ. მესხის საბენეფისოდ „მადამ სანჟენი". „დენიზა". „დავით რაბინი" და სხვ.**

## ქართველ ქალთა ამხანაგობის საკერვალოში

**მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის საკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობა

## „შუამავალი"

ამით აცნობებს უპატივცემულესს ტფილისის საზოგადოებას, რომ ამა ნოემბრის თვის პირველიდგან ამხანაგობის მაღაზია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ). მაღაზია ვაჭრობს უკეთესის ღირსების ყოველივე სანოვაგით, ყველანაირ სასმეულობით და კოლონიალურ საქონლით. (5—238—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**სალამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**სალამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ბ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

16 ნოემბერს ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენის დროს

## დაიკარგა
## ოქროს ჯვარი

გულისა **თერთმეტის ალმასით** მოჭედილი. მპოვნელს სთხოვენ შეატყობინონ ბებუთოვის ქუჩაზედ (ძველი ბალების ქუჩა), სახლი № 40, რისთვისაც ღირსეულს სასყიდელს მიიღებენ. (2—236—2)

## მთავრობის განკარგულებანი

განწესებულ იქმნენ: აზნაური ვლადიმერ გაბუჩია და მინა ომიაძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად.

გადაყვანილ იქმნენ: ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი აქვსენტი ალშიბაია და სოხუმისა—სიმონ აბაკელია; პირველი სოხუმისა და მეორე ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონებად.

## ფელეტონი

### პროვინციის ავ-კარგი

(წერილი დუშეთის მაზრიდგან)

(დასასრული*)

ყველა ის, რასაც წინა ფელეტონში ვწერდით, ერთნაირად ითქმის როგორც დუშეთის მაზრაში მცხოვრებ მთის ხალხსა, ისე თიანეთის მაზრის ფშავ-ხევსურებზე, ხოლო თუ ამ შემთხვევაში სახეში მე უფრო ოსები მყავს, ეს იმისთვის, რომ დუშეთის მაზრაში ამ გვარს არა სანატრელს მდგომარეობაში ისინი უფრო არიან ჩაცვივნული და ქურდობაც მათ შორისაც უფროა გავრცელებული. თიანეთის მაზრაში ბოჭორმისა და საყარაულოს საზოგადოებებში, აგრეთვე ერწოს საბოქაულოს ზოგიერთ სხვა სოფლებში ამგვარსავე მოვლენასა ვხედავთ. მთიდგან გადმოსახლებული ის ფშაველები და ხევსურები, რომელთაც მოუხერხებიათ სამკვიდრო ბინის შოვნა და იქ ფეხის მოკიდება, ე. ი. ან საკუთრება შეუძენიათ და ან იმ დროს გადმოსახლებულან, როდესაც ბარში სახაზინო მამულზე დასახლება კიდევ შესაძლებელი იყო, დღეს ყოველ მხრივ საიმედონი და პატიოსანნი მშრომელნი არიან, მათ შორის ქურდობა-ავკაცობა თითქმის სულ არაა. სამაგიეროდ მათი უბინაო ბოლოს დროს გადმოსახლებული თანამოძმენი ამასვე ვერ დაიკვეხებენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ოსებს. ამ ხალხის განსაკუთრებულ თვისებას ხასიათის სისუსტე შეადგენს. ოსი ვერც სიღარიბესა და ვერც სხვა რასმე გაჭირვებას თავისს ჯან-ღონით ისე მედგრად და ჯიუტად ვერ შეებრძოლება ცხოვრებაში, როგორც მთიულ-გუდამაყრელნი, მოხევე ან ფშაველი, რომელნიც ხშირად რვა-ცხრა თვის განმავლობაში მწყემსად არიან, სახლ-კარსა და ცოლ-შვილს მოშორებულნი და იქ ათას გვარს გაჭირვებას იტანენ, რათა ცოლ-შვილს ამით როგორმე დღიური ლუკმა მოუპოვონ; მთიულ გუდამაყრელთა და მოხევეთა ამ გვარის თვისებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ისინი ჯერ კიდევ რის ვაინაჩრობით მაგრობენ მთებში და ბარისკენ ოსებივით მრავლად ჯერ არ დაძრულან. ამ შემთხვევაში რაოდენადმე ხელს უწყობს და იავის კარზე ამაგრებს ფშაველებსა და მთიულებს მათი და თუშების სულის ჩამდგმელი შირაქის საზამთრო საძოვრები. უშირაქოდ მთაში ორი მესამედიც ველარ იცხოვრებდა.

ყოველგვარს მძიმე საქმეს ოსი ხშირად იქითკენ გაურბის, სადაც ადვილად და უშრომლად საშოვარი რამე ეგულება, კანონიერის გზით შეიძლება თუ უკანონოთ შეძენა, ეს მისთვის სულ ერთია. რასაც სხვები შვიდ-რვა თვის განმავლობაში მწყემსობით შეიტანენ სახლში, ქურდობაში დახელოვნებულს ოსს ხუთი-ექვსი ბნელი ღამე ხშირად ამაზე მეტსაც მისცემს, დანარჩენი დრო-კი თუნდა საპყრობილეში გაატაროს, არას ინაღვლის, მეტადრე ზამთარში. ასში ხუთი-ექვსი ქურდობა ძლივს მიაღწევს სასამართლომდე, ამ შემთხვევაშიაც ქურდმა კარგად იცის, რომ საპყრობილეში დამწყვდევას სამ-ოთხ თვეზე მეტს არ გადაუწყვეტენ, ეს-კი იმისთვის მცირეოდენი დასვენებაა...

ოსებს ქურდობაში მხოლოდ ქისტები არ ჩამოურჩებიან, შემდეგ ქურდობა უფრო გახშირებულია ხევსურებში, მაგრამ ამ მხრივ თვალ-საჩინო განსხვავებაა ხევსურელსა, ქისტსა და ოსს შორის. როგორც ოსს, ისე ქისტს ქურდობის გარდა ხელიდგან ხშირად სხვა არაფერი გამოუვა და თავსაც ამით ირჩენს, მაგრამ ქისტი საქურდლად უფრო შორს, უცხო მხარეს მიდის, თავის მეზობლებს და მახლობელ თემ-სოფლებს არა ჰღალატობს; ოსისთვის კი სულ ერთია, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, ყველას საკუთრებას ხელს წაატანს, მეზობლისა იქნება, თუ გარეშესი.

მთის ბინადარი ხევსურიც ამ ორივე ხალხისგან უფრო მეტად განსხვავდება. ის პირდაპირ საქურდლად იშვიათად წავა, მაგრამ, საკუთარ სოფელში რაც უნდა ძალიან პატიოსან კაცად ითვლებოდეს, ხევსური რაკი ორ წყალსა და ანატორს გასცდება (მიჯნებია ხევსურეთისა: პირველი საქართველოსკენ და მეორე ჩაჩნისკენ), ქურდი ხდება და რაც-კი გზაში „ხელის გასაკრავს" წააწყდება, არ გაუშვებს მოუპარავს. ხევსურეთს გარედ სამუშაოდ ან სავაჭროდ წასული ხევსურელი სტუმრად რომ ვისთანმე მივიდეს, სტუმრის სამლოთო მოვალეობასაც-კი ივიწყებს მასპინძლის მიმართ და თუ სხვა ვერა იპოვა რა მოსაპარი მასპინძლის სახლში, ნალის ნამტვრევებს მაინც გააქანებს ჩუმად თავისს ხურჯინისაკენ. სამაგიეროდ ხევსურეთში იმავე ხევსურს ოქროც რომ დაუფინო და ზედ გაატარო, ხელს არ ახლებს და თემ-სოფელს მიზეზს არ მისცემს, მას „ქურდი ც-ცა" დაუძახონ; უცხო მხარეში თუნდა კიდეც შეაჩნდეს ქურდობა, ამისთვის არ გაჰკიცხავენ და არც თემში „ციცას" დაარქმევენ... ყველა ეს მარტო მთის ხევსურებს შეეხება, ესევე არ ითქმის ბარში ბინადარ ხევსურებზე, რომელნიც თიანეთის მაზრაში მოსახლობენ; ესენი, რასაკვირველია, უკეთესს გარემოებაში არიან, ვიდრე მათი მთის მოძმენი, და პატიოსან მშრომელ ხალხადაც ითვლებიან. აქედგან აშკარაა, რომ მთის ხევსურების ავხელობა შედეგია უფრო მათის ეკონომიურად დაქვეითებისა, რადგან მთის მწირი დახრიოკი მიწა ხშირად რამდენიმე თვის საკვებსაც ვერ აძლევს. ამ მიზეზით მთის ხევსური იძულებულია ბარში დღიურ მუშაობით დაირჩინოს თავი და ცოლ-შვილი; ავხელობაშიც ბარში სამუშაოდ ყოფნის დროსაა შემჩნეული. სხვა რაიმე ხელობა, რომლითაც თავის დარჩენა შეეძლოს, მთის ხევსურმა არ იცის. საქონლის მოშენებაც ჩვეულებად არა აქვს და როგორღაც არ ეხერხება, თუმცა ხევსურებს თავიანთი საზაფხულო საძოვარი მთები ძალიან ხელს შეუწყობდა, თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ მათი მეზობელივე მთის ხალხები ხშირად სხვებისგანა ქირაობენ ადგილებს საზამთრო და საზაფხულო საძოვრად.

ეს ორიოდე სიტყვა აქაურ ქურდებისა და ქურდობის მოსასპობად რასაკვირველია, ვერაფერს შეჰმატებს იმას, რაცა თქმულა და დაწერილა კავკასიაში ქურდობისა და მასთან ბრძოლის შესახებ, მაგრამ რაკი ამ სენის მოსასპობად უებარი წამლის ამოჩენა შეიძლება ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვეს, ამიტომ ადგი-

*) იხ. „ივერია" № 253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

*** დღეს, 21 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს სადგომში მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამმა იმისა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ და სახსოვარ ჰყონ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების დღე.

*** ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ქართულ თეატრში დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული არტისტის ქალის ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. დანიშნულია წარმოსადგენად პირველად ახალი ხუთ-მოქმედებიანი დრამა „კაეშანი“ და ა. ცაგარლის პიესის „მათიკოს“ მესამე მოქმედება. ამ წარმოდგენისათვის მოწვეულია ქუთაისიდგან ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ეს პირველი გასტროლი იქმნება ამ სეზონში ალექსი-მესხიშვილისა. ბენეფისი ნიჭიერის არტისტ-ქალისა, მონაწილეობა ისეთის მსახიობისა, როგორც ბ-ნი მესხიშვილია და ახალი პიესა თავმდებია იმისა, რომ წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრება.

*** დღეს, 21 ნოემბერს, მოხდება კახელ მევენახეთა საზოგადოების („კახეთი“) წევრთა წლიური კრება. რედაქციამ უკვე მიიღო ანგარიში ამ საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლის 1 აგვისტოდგან 1900 წლის 1 აგვისტომდე. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ამხანაგობას სულ 86 წევრი ჰყოლია. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონია ტფილისში—72,660 ვედრა, ბაქოში—5825 ვედრა, მოსკოვში—2814 ვ., აქედგან გაუყიდნია ტფილისში—35,058 ვ., ბაქოში—4664 ვ. და მოსკოვში—1430 ვედრა. ხარჯი ჰქონია საზოგადოებას სულ 41,564 მან. 94 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია 4312 მან.

*** ამას წინად დაბა სოჭის საზოგადოების ერთმა ნაწილმა ბ-ნ ვლადიმერ ვლადიმერის ძის რადულოვიჩის მეთაურობით შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე სოჭში სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ. როგორც შევიტყეთ, სოჭის საზოგადოებას მიწად მოქმედების მინისტრისაგან ნება-რთვა მიუღია და ახლად შემდგარ საზოგადოებას უკვე დაუწყვია მოქმედება. კვირას, 19 ნოემბერს, აკურთხეს კიდეც საზოგადოების სადგომი.

*** კვირას, 19 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ა. ყაზბეგის ხუთ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი“. პიესამ საერთოდ სუსტად ჩაიარა, არტისტებს მომზადება არ ეტყობოდათ, ბევრმა როლიც არ იცოდა. საყვედური რეჟისორსაც ეთქმის სცენის მოუწყობლობისა და განსაკუთრებით ისეთის დიდებულთა გამოყვანისათვის, როგორნიც კვირას საღამოთი ვნახეთ თეატრში. დრამის შემდეგ წარმოდგენილმა ვოდევილმა „ძალად ავაზაკებმა“ ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნ გამყრელიძის წყალობით მხიარულად ჩაიარა.

კარგი იქმნება თეატრის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს იმ უწესოებას, რომელიც თითქმის ყოველ წარმოდგენის დროსა ხდება. ყვირილსა, ღრიალსა და ბრახი-ბრუხს დასასრული არა აქვს ხოლმე არამც-თუ ანტრაქტების, თვით წარმოდგენის დროსაც. ამას გარდა, ადმინისტრაციამ უნდა აუკვეთოს მოსწავლეებს პარტერიდგან სცენაზედ ქუდების სროლაც.

*** დღეს, 21 ნოემბერს, ავჭალის სახალხო წარმოდგენათა სადგომში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნება 5 მოქმედებიანი დრამა „თამარ ბატონიშვილი“.

*** ავჭალის სახალხო თეატრში კვირას, 26 ნოემბერს, სახალხო კითხვათა სექციების ქართულ განყოფილების განკარგულებით გამართულ იქმნება კონცერტი. სხვათა შორის კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ბ-ნ ფალიაშვილის ხორო.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გერშელმანს შემდეგი ბრძანება გამოუცია:

„ქუთაისის გუბერნიის სოფლის მცხოვრებთაგან ყოველ წლივ მრავალი თხოვნა მომდის. ამ თხოვნათა შორის ბევრი საჩივარია სოფლის მოხელეთა მოქმედების შესახებ. კანონის ძალით, როგორც სოფლის საზოგადოებათა, ისე კერძო კაცთა საჩივრები სოფლის მოხელეთა უკანონო მოქმედების გამო უნდა მიეცეს მაზრის უფროსს, ანუ მომრიგებელ შუამავალს. თუ მაზრის უფროსმა, ან მომრიგებელმა შუამავალმა არ დააკმაყოფილა მომჩივნები თხოვნის მიცემის დღიდგან ერთის თვის განმავლობაში, მხოლოდ მაშინ შეიძლება თხოვნით გუბერნატორს მიჰმართონ. ამისათვის მიუწერთ ბ.ბ. მაზრის უფროსებს: 1) განუმარტონ ყველას სოფლის ყრილობების დროს, ვის უნდა მიეცეს ხოლმე საჩივარი სოფლის მოხელეებზედ, და 2) გამოუცხადონ ყველას, რომ ყოველი თხოვნა, რომელსაც მივიღებ მე, საგუბერნიო სამმართველო, ანუ საგუბერნიო საგლეხო საკრებულო 1901 წ. 1 იანვრის შემდეგ, მთხოვნელებს უკანვე დაუბრუნდებათ განუხილველად“.

*** ბაქოდგან გვწერენ, რომ ადგილობრივი ქართული სამკითხველო დიდს გაჭირვებაშია უფულობის გამო. საჭიროა ბაქოს ქართველებმა ყურადღება მიაქციონ ამ საქმესა და თავიანთის გულ-გრილობით ბოლო არ მოუღონ ამ ერთად-ერთს სამკითხველოს.

*** განზრახვა აქვთ ტფილისში სამარხი კასსა დააარსონ. კასსის პროექტი უკვე შედგენილია და მთავრობასთან წარდგენილი დასამტკიცებლად. („ახ. მიმ.“).

*** დღეს, 21 ნოემბრისათვის, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, ოზურგეთის მაზრაში ჩაის საცდელი პლანტაციების გაშენება, რომელიც მინდობილი ჰქონდა აგრონომს ტიმოფეევს, ამ ჟამად უკვე დამთავრებულია.

*** როგორც ადგილობრივ რუსულ გაზეთებს შეუტყვიათ, განზრახვა აქვთ, რომ მომავალ წელს ქუთაისის გუბერნიის 6 სკოლასთან სამეურნეო განყოფილებანი გახსნან.

*** 18 ნოემბერს აკურთხეს საძირკველი ახალის საავადმყოფოსი ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლისათვის.

*** გუშინ-წინ ვანქის ტაძრის გალავანში, დიდძალის ხალხის თანადასწრებით, დაკრძალეს გვამი სომეხთა მღვდელ მთავრისა და მოღვაწისა ხორენ სტეფანე სტეფანიანისა.

*** როგორც პეტერბურგიდგან „ტფ. ფურცელს“ ატყობინებენ, უწმ. სინოდში იხილავენ პროექტს საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლებისა და წერა-კითხვის სკოლების მართვა-გამგეობის წეს-რიგის შეცვლის შესახებ.

*** როგორც „მწყემსი“ გადმოგვცემს, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება მოხდება შუა დეკემბრამდის. ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს, სხვათა შორის, ლაპარაკი ექმნებათ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გაყოფისა და საქალებო ეპარქიალურ სკოლაში პანსიონის დაარსების შესახებ.

*** „მწყემსი“ სწერს: „პარიჟიდამ ჩვენ მოგვდის ერთი ფრანგული სასულიერო გამოცემა. ამ გამოცემაში დასტამბულია ყოვლად სამღვდელოთა ლეონიდის და კირიონის მოხსენება საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ფლაბიანეს სახელობაზე, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების დღესასწაულობის სახსოვრად დაარსებულ იქმნას ქართულ ისტორიის კათედრა“.

*** ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენით დაპატიმრებულთათვის შენობების ასაგებად და შესანახად ადრიცხულია შემდეგი ხარჯი: მუდმივი — 10,483 მან. 69 კაპ; ამ რიცხვში სახლის დასაქირავებლად 3,550 მან.; დროებითი: ტფილისში საპატიმროთა ასაშენებლად—20,000 მან; დუშეთსა და თიანეთში სამ-სამიათასი მანეთი, სულ-26,000 მან; საპატიმროთათვის ტფილისში მიწის საყიდლად-5,000 მან; დუშეთსა და თიანეთში-ხუთასხუთასი მანეთი; პირველ მოსაწყობად და პატიმართა სარეცლების დასამზადებლად-3,500 მან.

*** პოლიციის მე-5 ნაწილში, ფეთხაინის ქუჩაზედ მცხოვრებს ტფილისის მოქალაქეს სიმონ ვართანოვს მეუღლითურთ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, მარტო დაუტოვებია სახლში თვისი პატარა 4 წლის ქალი და თითონ რამდენისამე ხნით სხვაგან წასულა. ბავშვს საიდგაც ასანთი უპოვნია, გაუკრავს, რისგანაც ცეცხლი მოსდებია ბავშვის ტანისამოსს. ბავშვის წივილ-კივილზედ მეზობლები მოცვივნულან და ალმოდებულისათვის უცებ ტანისამოსი შემოუგლეჯიათ, მაგრამ ცეცხლისაგან ბავშვი მაინც ისე დამწვარა, რომ მკურნალებს ყველაფერი უშველიათ, ბავშვი უკვე გარდაცვლილა.

*** „ტარაზს“ პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ახალ-გაზრდა სომეხმა ბერმა მესროფ ტერმოსესიანმა ადგილობრივ უნივერსიტეტში ეგზამენი დაიჭირა

---

ლობრივ დაკვირვება, შეძლებისა დაგვარად შესწავლა ქურდობისა მაინც და მაინც უსარგებლო არ იქნება... ნათქვამია: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო“. ჩვენს ქვეყანაში, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ერთობ მცირე მანძილზედაც-კი ადგილიც მრავალ-გვარია, ხალხიცა და მისი ხასიათიც, რომლის სიავეცა და სიკარგეც თავისებურ ანგარიშის გაწევასა თხოულობს. ზევითა ვსთქვი, რომ ამ ჟამად აქ ქურდობა თითქმის მოსპობილად უნდა ჩაითვალოს-მეთქი; ვერ გავბედე მეთქვა, სულ მოსპობილია-მეთქი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ეს ქურდობის შემცირება დროებითია და წარმავალი. პატივცემულმა მაზრის-უფროსმა ყველა ის ღონე იღონა, რაც-კი მის ხელთ იყო და რის უფლებაცა ჰქონდა, ხოლო ყველა ეს-კი აქ ქურდობის მოსასპობად საკმაო არ არის.

ჰპოებს თუ არა უმაღლესი მთავრობის თანაგრძნობას ბ-ნის მაზრის უფროსის მოსაზრება, რომ მისგან შეპყრობილი ქურდები ადმინისტრატიულის წესით იქმნან განდევნილი, ამის შესახებ ჯერ არაფერი ითქმის, ხოლო ის-კი აშკარაა, რომ თუ ეს ქურდები შინ დაბრუნდნენ, კვლავ მოედებიან სოფლებს საქურდლად და ეურავს დღე დაადგებიან. ამითი განთავისუფლებით გამხნევებული სხვებიც, რომლებიც ეხლა შიშისა-გან ქურდობას ვეღარა ჰბედავენ, კვლავ დაიწყებენ ქურდობას.

საზოგადოდ ქურდობასთან ბრძოლის საქმეში უფრო საჭირო და საიმედოა შეერთებულის ძალით მეცადინეობა ყველა დაწესებულებათა, რადგანაც რაც შეუძლებელი და მოუხერხებელია პოლიციის ძალით, ის ადვილად მოსახერხებელია ზნეობრივის წამლობით, ესე იგი სწავლით, აგრეთვე ქონებრივად გაუმჯობესებით მამულ-ნაკლებისა და ადგილის სიმწირისა და სიმცირისაგან დახელმოკლევებულის ხალხისა.

ერთის მხრივ გამოურკვეველი მდგომარეობა ხიზანთა და მოიჯარადრეთა, მეორე მხრივ ადგილის სიმცირე და სიმწირე უნაყოფობა ბევრს ადვილად აგდებს სასო-წარკვეთილებაში და უსპობს ხალისს სამუდამოდ ფეხი მოიკიდოს, სამკვიდრო საოჯახო საქმეს მიჰყოს ხელი და მრუდე გზას ასცდეს.

ჩვენ ეხლავე ვემზადებით რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების დღე შესაფერად ვიდღესასწაულოთ და ამ ერთის საუკუნის ნაშრომ-ნაღვაწი და წარმატება გამოფენით საცნობ ვყოთ.. ამ დღის მნიშვნელობაზე დიდი არა მგონია ისეთი მცირე ბარგი ბარხანით დახდეს სწავლა-განათლებისა მხრივ, რომელიმე მივიწყებული მხარე, როგორც დუშეთის მაზრა, სადაც მარტო ოთხი თუ ხუთი სკოლაა, მაშინ როდესაც ისეთს განაპირა და მივარდნილ მაზრებშიაც-კი, როგორიც ახალქალაქისა და ზაქათალისაა, არსებობს სამაზრო სასწავლებლებიც კი; დუშეთში ორის მთის მცხოვრებთათვის მხოლოდ ერთი ეგრედ წოდებული დუშეთ-თიანეთის ორკლასიანი სკოლა ღივღივებს, მისი სამაზრო სასწავლებლად გადაკეთებაც-კი, რის შესახებაც ადგილობრივი მარშალი ბ-ნი გ. ა. ყარანგოზიშვილი შუამდგომლობს, ერთობ გაძნელდა. არ იქმნა ჩვენ მხარეს ბედმა არ გაუღიმა და გერის მდგომარეობიდგან თავის დაღწევა არ ეღირსა, თუმცა-კი სხვებთან შედარებით მას უფრო მეტი ზნეობრივი უფლება ჰქონდა ესარგებლა საქართველოს რუსეთთან შეერთების სიკეთით. ერთ საუკუნეში შეძენილს ჩვენს ავლადიდებას ამ ხუთი-ექვსი სკოლის გარდა აძღენივე ყაზარმა შეადგენს და მრავალი საძიკიტნო, რომელნიც მძივივითა აქვს ასხმული სამხედრო-საქართველოს გზასა და რომელთა მომაკვდინებელი ნაყოფი ყველას თვალ წინ დაუდგება, ვინც-კი აქეთ გაივლის, მეტადრე კვირა-უქმე დღეს: არ შეიძლება არ ყაიბულის სოფლელებს სიმპათიისაგან ლაგამი ან თოლში ცხვარ ყაფრიყას. ვიდრე ჩვენებურ მცხოვრებს ხნეობა-გონების სილატაკის ერთად-ერთი წამალი სკოლების რიცხვი არ გამრავლდება და ამასთანავე რაიმე ღონისძიება არ იქმნება ხმარებული მთიდგან იმ გადმოსახლებულთა დასაბინავებლად, რომელთაც იქ ადგილის სიმცირისა და უნაყოფობისა გამო თავი ვეღარ დაურჩენიათ, იძულებულნი გამხდარან მამა-პაპის ბინას გაეცალნენ და ბარს მიატანონ, მანამდისინ აქ გავრცელებულს ქურდობა-ავხელობას, ჩემის ფიქრით, სამუდამოდ ბოლო არ მოეღება.

მთიდგან ბარში არამც თუ ხიზნად და მოიჯარადრედ გადმოსულთათვის, თავისს საკუთარ ნასყიდ მამულზედ გადმოსახლებულთა მდგომარეობაც კი რომ მეტად უნუგეშოა, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ ამ გვარად ბარში გადმოსახლებულ ფშაველებს, რომელთაც „სულს იქით“ ყველაფერი გაუყიდნიათ, რათა ბარში ცოტაოდენი მამული შეეძინათ და მართლაც შეუძნიათ და ამისთვის არც მთავრობა და არც საზოგადოება არ შეუწუხებიათ, ზოგიერთა ქვის კოლოფების მეოხებით ერთსა და იმავე ხარჯსა და ბეგარას ორ პირად ახდევინებენ ბარშიც (როგორც დროებით მცხოვრები) და მთაშიც, (როგორც მკვიდრი, სულთ აღწერის მიხედვით). თითქმის მაზრიდან ამ გვარად გადმოსახლებულთა თითო კომლიდგან ორ-ორი კაცი გამოჰყავნდათ სამუშაოდ კახეთ-თიანეთისა და ანანურის გზების კეთების დროს. ზოგიერთებმა ამის შესახებ კიდეც მიმართეს თხოვნით საგუბერნიო მთავრობას, რომელმაც შესაძლოდ დაინახა ამ ხალხის ორ-პირ ბეგრისა და ხარჯისაგან განთავისუფლება, მაგრამ მთავრობის ეს ყოვლად სამართლიანი სურვილიც-კი იმავე ვაჟბატონების წყალობით და მეცადინეობით არ იქმნა განხორციელებული.

თუ გარდასახლებულთათვის მთავრობა ბევრს შემთხვევაში ისეთს მსხვერპლსაც-კი არ ერიდება, როგორიც სახელმწიფო გარდასახადია და საზოგადო ბეგრისაგან რამდენისამე წლით სრულიად განთავისუფლებაა, და თუ ეს საჭიროდ მიჩნეულია ისეთ გადმოსახლებულთათვის, რომელთაც მამულის შეძენა, სახლ-კარის მოწყობა-მომართვა არა სჭირდებათ, მთიდგან გადმოსახლებულთ რაღათ უნდა გავუძნელოდ ხარჯის გაორკეცებით ისედაც ძნელი საქმე საკუთრების შეძენისა და ხელ ახლად დასახლებისა, როდესაც მამულის შოვნა-შეძენაც და სახლ-კარის მოწყობაც მათ თვითონვე აქვთ თავში საცხოვრებლად დასაბინავებელი და ხელ-მოსამართავი, გარეშე დამხმარე არავინა ჰყავთ.

დ. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგისტრის ხარისხის მისაღებად და ამ ახლო ხანში დაიცავს დისერტაციასო.

*** ჩვენ მივიღეთ ერთად გადაღებული ქართველ მწერალთა სურათები. ამ ჯგუფში მოქცეულია 30 მწერალი. სურათები სუფთადაა გადაღებული. გამომცემელია იგი ტ. მომცელიძის მიერ.

*** ბ-ნ დედენცევის საოპერეტო დასი, როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში და შეუდგება ქართველთა სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენების მართვის საქმეს.

*** დაბა ჩხარი. შაბათს დილით, თერთმეტს ამ ნოემბერს, ხმა გავრცელდა, რომ ერთის ვერსტის მანძილზედ ტყეში, გზის პირად გდია ვიღაც ავაზაკებისაგან მოკლული კაცი. ადგილობრივი გამომძიებელი, ბოქაული და მოხელენი გაეშურნენ იმ ადგილისაკენ, სადაც მოკლული კაცი ეგდო: მკვდარი აღმოჩნდა დაბა ჩხარის თერძი, სამოცის წლის კაცი, ფირანა ლევანის ძე ბრეგვაძე. ეს კაცი ხუთ ნოემბერს სახლიდგან წასულა და შინ აღარ დაბრუნებულა. საწყალი ბოროტ-მოქმედებს გაუტყუილებიათ ბაზარს გარეთ, მოუკლავთ, შემდეგ წაუღიათ ტყეში, გაუსხამთ ნავთი, დაუყრიათ ზევიდგან ჩალა და ცეცხლი მოუკიდებიათ. მოკლულის გვამი ნახევრად დამწვარი იყო. გამომძიებელი და ადგილობრივი ბოქაული უკვე შეუდგნენ ბოროტ-მოქმედების აღმოჩენას.

*** ს. თიანეთი. 14 ამ თვეს აქ ერთი შესაზარი და შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: გლახა ქსნელაშვილმა თავისი დვიძლი გასათხოვარი და მეტად ლამაზი და ნინო ხანჯლით მოჰკლა. საქმე ასე ყოფილა: აქაურს დალაქს კაცურა (დავით) სადირაშვილს პირობა ჰქონია მიცემული ამ ქალისათვის ცოლად შეგირთავო. ქალის ორმა ძმამ, რომლებსაც ამ ერთის დის მეტი არა ჰყავსდათ, არ იცოდნენ ამათი პირობა და თავიანთს დას სხვაზე უპირებდნენ გათხოვებას. ქალმა ყველაფერი შეატყობინა კაცურას, რომელმაც ამ თვის ათში ღამე ჩუმად გააპარა და გათენებისას ზემო-თიანეთში (თიანეთიდგან ოთხი-ხუთი ვერსის მეტი არ იქნება) მიიყვანა, ქალს აქეთ-იქით ძებნა დაუწყეს. ძებნაში განგებ თვით ქალის წამყვანი კაცურაც მონაწილეობას იღებდა.

13-ში გაიგეს თურმე, ქალი სადაც იყო და ვისი წაყვანილიც. გლახა მაშინვე კაცურასთან მივიდა საკითხავად, თუ უნდოდა, რატომ არ სთხოვა, როგორც წესი და რიგი იყო, და რად არცხვენდა ან ქალს, ან ძმებს. მაგრამ პასუხად მხოლოდ ის მიიღო თურმე, რომ ის იმ ქალის შემრთველი არ იყო.

კაცურას 14 ში წერილი მიუწერია ქალისათვის, რომ თიანეთში ჩამოსულიყო მასთან. ქალს გამოუყოლებია ერთი ბიჭი და საღამოთი, ბინდისას, თიანეთს წამოსულა კაცურასთან. ამავე დროს წასულა გლახა თავისის დის წამოსაყვანად და ამბის გასაგებად. გზაზედ გლახა და მისი და ერთმანეთს შეხვედრიან თიანეთის ზემოდ, მინდორში. გლახას თავისის დისათვის გამოკითხვა დაუწყვია, თუ რად ჩაიდინა ასეთი საქმე, რად შეარცხვინა თავისი თავი და ძმები და სთხოვდა თურმე, შინ გაჰყოლოდა. მაგრამ ქალს უარი ეთქვა: მე შენთან არ წამოვალ, ვინც წამიყვანა და ვინც პირობა მომცა ცოლად შემრთვისა, იმასთან უნდა წავიდეო. ბევრი ლაპარაკისა და ჩხუბის შემდეგ ქალი მაინც თავისას გაიძახოდა და ვერ დაარწმუნებისა გლახას, რომ კაცურა იმას აღარ ირთავდა. მაშინ გაჯავრებულსა და გაბრაზებულს ძმას გაუძრო ხანჯალი, იქვე ხრამში გადაგდო და შეუბრალებლად მოკლა. ისე დაეკარგნა ცნობა და გონება საბრალო გლახას, რომ აღარ იცოდა თურმე როგორა ჰკლავდა თავისს დვიძლს დასა; ჭრილობა სწორედ ცხრა ადგილასა ჰქონდა: მარჯვენა ყბაში, მკლავებში და მუცელში ორს ადგას. საწყალი მომაკვდავი ქალი, როდესაც ძმა ასე მხეცურად ჰკლავდა, „ვაიმე ვაიმეს"-და გაიძახოდა თურმე... დის მკვლელი მაშინვე თავისს თავად გამოცხადდა პოლიციაში და ყველაფერი უამბო; გაუძღვა და თავისი მსხვერპლი უჩვენა. პოლიციამ დამნაშავე დააპატიმრა.

*** ქიზიყი. დაღისტნის მთები კალთებამდის ჩამოითოვლა და მის სუსხიან სიოსაგან ქიზიყშიაც საგრძნობლად აცივდა. თოვლიც მოვიდა რამდენჯერმე, მაგრამ მალევე გაწყალდა. ხანგრძლივ დარიანობის გამო ქიზიყელებმა დიდ ძალი „მინდვრები გააშავეს" და ბოლოს მისწრებასავით უშველა თოვლ ჭყაპმა: გვალვისაგან გაგოხებული ბელტი ააფუვა და წეს-რიგიანად დაიფარცხა „გაშავებული მინდვრები".

*** 17 ნოემბერს, როგორც „ახ. მიმ."-ს შეუტყვია, სად. ავჭალასა და ტფილისს შუა მატარებლიდგან რვა ტომარა შაქრის ფხვნილი მოუპარავთ. ტფილისის სადგურის უფროსმა ბ-ნა კულჩიცკიმ დაადევნა ქურდებს ცხენოსანი პოლიციელნი, რომელთაც ავჭალის ახლოს შაქრით დატვირთულს ურემსა და ოთხს კაცს დაეწივნენ რომელთაგან ერთი რკინის გზის სლესარი კონსტანტინე ნათაძე შეუპყრიათ, ხოლო სხვანი გაქცეულან.

*** კვირას, 19 ნოემბერს, დავით ჯაფარიძემ გამოუცხადა პოლიციას, რომ ქალაქ სიღნაღის მცხოვრებმა მარტიროზ ნუზაროვმა 15 მან. ღირებული ვერცხლის საათი მომპარაო.

*** ტფილისის მე-2 გილდის ვაჭარმა ხაჩატურ ეგანოვმა განაცხადა პოლიციის მესამე ნაწილში, რომ კვირას, 19 ნოემბერს ღამე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა გასტეხა ჩემი მაღაზიის ლეიცის სახლში მოთავსებულ ფანერნის საწყობიდგან გამოსავალი კარების ფიცარი და მოიპარა სხვა-და-სხვა ნივთები სულ 630 მანეთისაო. ქურდობაში ეჭვი ეგანოვს ალექსი ტერ-სააკოვზე შეუტანია, რომელიც უკვე დაუპატიმრებიათ.

*** კვირას, 19 ნოემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში ვორონცოვის ხიდზედ სასტუმროს „ვენეციის" ქვემ მოთავსებულ ვასილ პერლოვის მაღაზიაში შემდეგი თავხედური ქურდობა აღმოაჩინეს: ვიღაც ბოროტ-განმზრახველს, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ, დაუქირავებია აღნიშნულ სასტუმროს ერთი ნომერი, რომლის იატაკი გაუბურღავს, საიდგანაც თოკით ჩაპარულა შერჩეულ დროს ვ. პერლოვის მაღაზიაში, გაუტეხია ფულის კასა და ამოუღია 3355 მან. ქურდობა მომხდარა 18 ნოემბრს შაბათ ღამით. მეორე დღეს, კვირას დილას, უცნობი ქურდი თვალების ფშვნეტით გამოსულა სასტუმროს ნომრიდგან და მოსამსახურესათვის განუცხადებია, თვალები მტკივა და მკურნალთან მივეშურებიო; ქურდი იმ დროიდგან სადღაც მიიმალა და ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

## წერილი ფოთიდგან

აქ არსებობს სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის გამგე და მმართველი ბძანდება საკათედრო ტაძრის დეკანოზი მ. გრ. მაჭარაძე. სკოლას შარშან ორი მასწავლებელი ჰყავდა: ქ-ნი ა. კოტეტაშვილი და ქ-ნი ნ. პარკაია. ქ. ა. კოტეტაშვილმა მასწავლებლობას ამ სკოლაში თავი გაანება ჯერ ისევ ზაფხულში (ივნისსა თუ ივლისში). აშკარაა, რომ სკოლის გამგეობას სრული შეძლება ჰქონდა სწავლის დაწყებამდე მოეწვია ახალი მასწავლებელი, მით უმეტეს, რომ სწავლა დაიწყო ამ სკოლაში 1 სექტემბერს-კი არა, როგორც უნდა ყოფილიყო და იყოს ყველა სამრევლო საეკლესიო სკოლაში, არამედ მხოლოდ ოქტომბრის ნახევარს. მიზეზი ის გახლდათ, რომ სექტემბრის დამდეგს სკოლაში სწავლის დაწყების მაგიერად დაიწყეს.. შეკეთება სკოლის შენობისა.

შესაძლებელია, რომ სკოლის გამგეს, ანუ სამრევლო სამზრუნველოს რაიმე შესაწყნარებელი საბუთები ჰქონდა, რომ ასე გვიან შეუდგა სკოლის შენობის შეკეთებას, მაგრამ ეს საბუთები მათ გარდა არავინ უწყის...

კიდევ კარგი, რომ სწავლა როგორც იყო მაინც დაიწყო სკოლაში. დაწყებით-კი დაიწყო, მაგრამ სკოლას ერთი მასწავლებელი-და შერჩა. ნუ თუ ასე ძნელია მასწავლებლის შოვნა ამ სკოლისათვის, რომ სკოლა ერთის მასწავლებლის ანაბარა რჩება? ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ მასწავლებლობის მსურველი ამ სკოლაში ერთი და ორი-კი არა, გაცილებით მეტია; მაშ სად არის დამაბრკოლებელი მიზეზი? გავიგონეთ ისიც, რომ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი რამდენჯერმე მიჰმართეს სკოლის გამგეს თხოვნით—დროზე აირჩიეთ და დანიშნეთ სკოლის მასწავლებელიო, მაგრამ პასუხი ყოველთვის ეს იყო: „თქვენ რა გიწუხებთო, ეგ ჩემი საქმეაო". ოქტომბრის დამდეგს დროებით მასწავლებლის თანამდებობას ასრულებდა კათედრის ხორის ლოტბარი ბ-ნი მეგრელიძე, რომელმაც მალე უარი განაცხადა მასწავლებლობაზე დროს უქონლობის გამო. ეხლა, მგონია, მასწავლებელი ქალი მიიწვიეს, მაგრამ ისიც დროებით...

მძაღე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ძველი-სენაკი.** სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ძველი-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა ჩვენს მიძინებულს დაბას გამოღვიძებას უპირებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, აღნიშნულს სკოლას სასულიერო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სახალხო კითხვებისა და საკვირაო სკოლის დაარსების ნებართვა მისცენ. ეს ორივე სიმპატიური დაწესებულება პატივცემულს მასწავლებლებს უკისრიათ; ამ საქმის რიგიანად მოსაწყობად სკოლას უკვე გამოუწერია ბუნდოვანი სურათები ფარნითურთ და კიდეც მიუღია ამ კვირაში. თვით სკოლის შესახებ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წელს მოწაფეთა რიცხვი 160 ასულა. ამ წინაზედ საერო სკოლების ინსპექტორს დაუთვალიერებია სკოლა და, როგორც გვითხრეს, კმაყოფილიც დარჩენილა მოსწავლეების გამოცდით. ბ-ნს ინსპექტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ახლად შემოღებულ სარეპეტიციო კლასებისათვის, რომელიც ეს ორი კვირაა გახსნეს. ექვსი საათიდგან რვამდე მოსწავლენი სამის დიდრონ ლამპრით განათებულს კლასში იკრიბებიან და მორიგის მასწავლებლის ხელმძღვანელობით გაკვეთილებს ამზადებენ. ამ განკარგულებისათვის სკოლის მზრუნველ მასწავლებელნი სწორედ მადლობის ღირსნი არიან, მაგრამ არ ვიცით, რითი აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს გალობის მასწავლებლის ადგილი თავისუფალია, რომელიც წინად მეთვალყურედაც ირიცხებოდა. მეთვალყურის მოვალეობას თუ მასწავლებლები ეკისრებიან, გალობის მასწავლებელი ხომ მაინც საჭიროა. მეთვალყურე-გალობის მასწავლებელს 600 მანეთი ეძლევა ბინით, განათებითა და შეშით და ეს-კი ურიგო სასყიდელი არ არის. მაშ ნუ თუ საქართველოში კაცი არ მოიძებნება, რომ ამ პირობებით აქ წამოსვლა გაბედოს? იმედია, სკოლის გამგეობა დიდხანს აღარ დააყოვნებს და მეთვალყურე-გალობის მასწავლებელს სკოლას მალე უშოვნის, თორემ მეთვალყურეობას რომ თავი დავანებოთ, თუ ამ მოვალეობას სხვანი ეწევიან, გალობას სრულიად ვეღარ შეასწავლიან მოწაფენი და ეს-კი დიდი ნაკლი უნდა იყოს ჩვენთვის.

მეზობელი

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ბოლონდელ დეპეშებიდგანა სჩანს, მართლაც გამართლდა ის აზრი, რომ რობერტსის მაგივრად სამხრეთ-აფრიკას მთავარ-სარდლად ლორდი კიტჩინერი ინიშნებაო. კიტჩინერს გენერალ-ლეიტენანტობა და მთავარ-სარდლის თანამდებობა ებოძა. მაშასადამე, ამიერიდგან სამხრეთ-აფრიკის ომი სულ სხვა, უარესს მიმართულებას მიიღებს და დღემდის გამომჟღავნებული ინგლისელთა ბარბაროსული მოქმედება ერთიორად იმატებს. სამაგიეროდ, არც ბურები აკლებენ რასმე და რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მხნედ და თავგანწირვით იბრძვიან ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის საზღვრებში. ბოტა, დევეტი და ვილიენი ახლა ერთიორად მეტს ჯარს ჰსარდლობენ; ბურები ყველა მხრიდგან იკრიბებიან და მტერთან საბრძოლად იარაღს ისხმენ იმ გარდაწყვეტილებით, რომ ან მართლაც თავი როგორმე იხსნან შეუბრალებელ და გაბარბაროსებულ მტრის ხელიდგანა, ან-და თავი შეაკლან. ამითი აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ თითქმის ორთავე რესპუბლიკის ყველა ფეხის დადგმაზედ ბურებსა და ინგლისელებს სასტიკი ბრძოლა აქვთ და თითო მუჭა რაზმი ბურებისა, რიცხვით ბევრად მოჭარბებულს ინგლისელებს ყველგან სასტიკად ებრძვის. ამ დღეებში მიღებული დეპეშები თითქმის სულ იმას მოგვითხრობენ, რომ ბურები გამაგრებულს ინგლისელებს თავს დაესხნენ, სძლიეს, ზარბაზნები და ტყვეები წაართვესო და სხ., — მაგრამ ინგლისურად, თავისებურად ინგლისელები კიდევ იმას იწერებიან, რომ რომელიმე გენერალი ნოქსი, ან-და პოლკოვნიკი პილჩერი ახალის ჯარით შეება ბურებს და ქალაქი ან სიმაგრე ისევ უკან დაიბრუნაო. მეორე მხრივ, ეს დაუსრულებელი დევეტის უკან დევნა, მეტადრე ზოგიერთს პირობებში, როგორც ამ დღეებშიაც იყო მოხსენებული დეპეშაში, რომ დევეტს მოხერხებულად მოუარეს და მდინარე ორანჟეს მხრიდგან უკან გზა შეუკრესო; ან-და ყველა ფონები დაჭერილია, მაგრამ დევეტის დაჭერას არა ეშველება-რა, თუ ცხენოსანი ჯარი არ გავამრავლეთო, ყველა ერთს დაუსრულებელს სასაცილობას წარმოადგენს და სხვას არასფერს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისელები ამ ჟამად ისეთსავე მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი და ისრევე შევიწროებულნი ბურებისაგან, როგორც ამ ხუთი-ექვსი თვის წინად, მაგრამ მაინც ეშხს არ იტეხენ და ომს გათავებულადა სთვლიან. ესეც ინგლისელების ქეიფი იყოს, თუ არ დაუშლიათ, მაგრამ ფიცი რომ სწამთ, ბოლოს ხელში უნდა დაიჭირონ და! ესეთი ამბები ხდება სამხრეთ აფრიკაში, ე. ი. ბრძოლის ველზედ, მაგრამ იქ რაღა ხდება, ე. ი. ინგლისში, მეტადრე ამ ჟამად, როდესაც ტრანსვაალის მოხუცი პრეზიდენტი კრიუგერი ევროპაში მოგზაურობს და საფრანგეთი ასეთის უსაზღვრო თანაგრძნობითა და აღტაცებით ეგებება, ესაც საყურადღებოა, ვგონებ მოგითხრობთ, ბ ნო!

ახალის მთავარ-სარდლის ლორდის კ ტჩინერის შესახებ, როგორც ამ წინაზედა ვწერდით, გაზ. „Morning Leader" სწერს: როგორც ხმა დადის კაპშტადტში, მთავარ-სარდლის პირველი ნაბიჯი უთუოდ ის იქნება, რომ სამხედრო კორესპონდენტებს მთლად გასდევნისო; აქედგან უკვე ადვილი წარმოსადგენია, თუ შემდეგში რადა გზას დაადგება იგი და რა სამართლიანობის წარმომადგენელი იქნებაო. იმ გულცივობისა და თავდაჭერის შესახებ, რომელსაც ინგლისელები იჩენენ ამ ჟამად, როდესაც საფრანგეთში კრიუგერს ასეთის თანაგრძნობით ეგებებიან და ინგლისელთა გულმოსაკლავს მანიფესტაციებს ჰმართავენ, გაზ. „Figaro"-ს კორესპონდენტი შემდეგს იწერება ლონდონიდგან.

„ზოგიერთები ამ გულცივობასა და სიჩუმეს შიშის მაჩვენებლადა სთვლიან, მაგრამ მე ამ აზრის წინააღმდეგი ვარ და აი, რად: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინგლისელები და თვით მთავრობაც ინგლისელებისა დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისის პოლიტიკას სამხრეთ-აფრიკაში წინააღმდეგობას არავინ გაუწევს და, როგორც პრაქტიკულ მოსაზრებათა და მოქმედებათა ხალხი—აინუნშიაც არ იგდებს, თუ კრიუგერს რა აღტაცებით ეგებებიან, რადგანაც კარგად უწყიან ასეთი პლატონიური მანიფესტაციები ქვეყნის პოლიტიკურს მდგომარეობაში ვერაფერს შესცვლის; მეორეც, კარგად ახსოვთ ინგლისელებს, რომ ერთს დროს თვით ისინიც ასეთისავე აღტაცებით ეგებებოდნენ კოშუტს, მაძინისა და ჰარიბალდის და ერთს წამსაც არ დაფიქრებულან, თუ მათი მანიფესტაციები მეგობარს ქვეყნებზედ როგორ იმოქმედებდნენ. დაბოლოს, კარგად იციან აგრეთვე ის, რომ ტრანსვაალის შეერთება სახელმწიფოთათვის არ უცნობებიათ; მაშასადამე, საერთაშორისო უფლების მიხედვით, კრიუგერი ჯერ-ჯერობით სრულ უფლებიანი პრეზიდენტია და არც საკვირველია, თუ სახელმწიფოთა ყურადღებას იპყრობს, პატივით იღებენო".

ჩვენის აზრით-კი, მოკლედ რომ ვსთქვათ, მთელი ეს დასაბუთებული შეხედულება ერთის ქართული ანდაზით გამოიხატება; ხომ მოგეხსენებათ: კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო,... მაგრამ არაფრად ეპიტნავებათ ინგლისელებს ყველა ეს მანიფესტაციები, მაგრამ რა გაეწყობა, დიდსულოვნად უნდა გაუძლონ, ჯავრი გულში ჩაიკლან.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად ლონდონის საქირურგო საზოგადოებას მიუღია საჩუქრად პატარა ყუთი, რომელშიაც უცნაური ნივთები ყოფილა, სახელდობრ, 10 წლის გოგოს მუცლიდგან ოპერაცი ს შემწეობით ამოღებული ნივთები. ეს გოგო რამდენისამე თვის წინად ლონდონის ერთს საავადმყოფოში მიუყვანიათ. ბავშვს მუდამ გული ერეოდა, სუსტად იყო და ხშირად თავს-ბრუ-ესხოდა. ექიმების გამოკითხვის დროს ბავშვი გამოტყდა, რომ რამდენიმე ლურსმანი გადავყლაპეო. მაშინ მკურნალებს გადაუწყვეტიათ ოპერაცია მოეხდინათ: გაუჭრეს ბავშვს

მუცელი და საოცრად გაჰკვირდნენ, როდესაც აუარებელი რკინის ნივთები ნახეს შიგა: 12 დიდი ლურსმანი, 42 პატარა ლურსმანი, 3 ბროშკა, რამდენიმე ნემსი და სხვა. სულ ამ გოგოს მუცელში 200 სხვადასხვა ნივთი უნახავთ. ბავშვი სრულიად განუკურნავთ და ეხლა კარგად არის თურმე.

* * *

შეერთებულ შტატებში მრავალი ქალია ვექილი, მკურნალი და მღვდელი. უტისა, კანზასისა, იდახოსა და ვიიომანგის შტატებში ქალებს ყველა თანამდებობის დაჭერის უფლება აქვთ. მრავალია ეხლა იქ ქალი ქალაქის მოურავი, პოლიციის უფროსი, საკანონმდებლო საკრებულოს წევრი და სხვ. ეხლა მიჩიგანის შტატში ერთი ქალი ქ-ნი აბბატი პირველად ასრულებს სახელმწიფო პროკურორის თანამდებობას. წინად ქ-ნი აბბატი თავისს ქმართან ერთად ვექილობდა.

* * *

თუ რამდენ ფულსა ჰხარჯავენ მდიდრები სრულიად გამოუსადეგარ ცხოველებზედ, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს: ამას წინად ერთ ინგლისელს, გვარად კროკერს, უყიდნია 10,000 მანეთად ერთი ძაღლი, ბულდოგი. ეს ძაღლი არაფერში არ არის გამოსადეგი და ამასთან არც ლამაზია.

* * *

ამას წინად ჩინეთიდგან ლონდონში გაჰგზავნეს ტიან ძინში მყოფ ჯარის მოკლულთა და დაჭრილთა სია. სხვათა შორის, ამ სიაში ნაჩვენები იყო გუილიმ ლეველლინ ჯონსი და მიმატებული ჰქონდა, რომ „მძიმედ დაჭრილი წინა ფეხშიო“. ჯონსი ჰქვიან ერთ რაზმის...თხას. ეს თხა კაცადაა ჩარიცხული და ჯარის-კაცის ჯამაგირი აქვს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ნოემბერი

**ლივადია.** 19 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე ძალიან კარგად გაატარა. დღეს დილით თვით-გრძნობელობა სრულიად კარგი ჰქონდა; მადა ემატება; ღონეც თანდათან ემატება. გუშინ საღამოს ტემპერატურა—36,6, მაჯა 64; დღეს ტემპერატურა 36,1, მაჯა—72. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

18 ნოემბერი

**ვაშინგტონი.** დღევანდელ სხდომაზედ გეიმ დაწვრილებით შეატყობინა კაბინეტს ჩინეთის კრიზისის ეხლანდელი მდგომარეობა. როგორც ისმის, ერთი მეფის მოადგილეთაგანი ძალიან მხნედ მოქმედებს „დიდის მუშტის“ წინააღმდეგ; მან დასაჯა დამნაშავენი და იცავს უცხოელებს. იუწყებიან, რომ გერმანელები, ამისდა მიუხედავად, არ არიან მისი კმაყოფილნი და აპირებენ მისს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებასაო.

**კაპშტადტი.** მთელს კაპის ახალშენში აძლიერებენ სამხედრო სადარაჯო რაზმებს; ცდილობენ, რომ სამხედრო დროის წეს-რიგი იქმნას გამოცხადებული ოლქებში.

**ლონდონი** „Morn. Post“-ს ატყობინებენ შანჰაიდგან 17 ნოემბრის რიცხვით, რომ ვუჩჯუანის მეფის მოადგილემ ჯანჯიტუნგმა თანხმობა გამოაცხადა აღარ გაუგზავნოს იმპერატორის სახლობას სურსათი, თუ ნანკინის მეფის მოადგილე ლიუკუნიც ამის თანახმა გახდებაო. ლიუკუნიმ დეპეშით აცნობა, რომ მოვსპე იარაღის გზავნა, მაგრამ სურსათის გზავნას განვაგრძობ იმ დრომდე, ვიდრე იმპერატორს ეპირვებაო. შანჰაიდგანვე იუწყებიან, რომ, როგორც ისმის, ტიანძინში დიდი შიში ჰსუფევს: მოკრივენი და ჩინეთის ჯარის კაცნი მრავლად იკრიბებიან ტიან-ძინში; ჰშიშობენ, ახალი აჯანყება არ მოხდეს, როგორც ნავთ-სადგური გაიყინება. „Daily News“-ს ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ წარსულ ორშაბათს ელჩებმა გამოსცეს საერთო პროკლამაცია; იგი მიმართულია იმ მასალის შემოზიდვის წინააღმდეგ, რომლიდგანაც თოფ-იარაღი კეთდება. ხუთშაბათს იაპონიის ელჩმა, რომელიც მოქმედობს ტოკიოდგან მიღებულ ინსტრუქციების თანახმად, გამოაცხადა, რომ მე თანახმა არა ვარ ამ პროკლამაციისაო. ამ მოქმედებამ ძალიან გააკვირვა ელჩები. ხმა დადის, რომ ჩინელები გულ-მოდგინედ იძენენ იარაღსა და სამხედრო მასალას. საბაჟო უწყება, ინსტრუქციების თანახმად, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სამხედრო მასალის შემოტანას სხვა საქონლის სახით.

**პარიჟი.** ყველა ელჩები ჩინეთში შეთანხმდნენ იმ პირობათა შესახებ, რომელიც უნდა წარუდგინოს ჩინეთს; მათ შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს. ეს პირობანი ახლო მომავალში წარედგინებათ ჩინეთის რწმუნებულთ.

**პარიჟი.** კრიუგერი მივიდა ჩრდილოეთ რკინის გზის სადგურზედ ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. და შევიდა ვაგონში, რომელიც მობმული იყო სწრაფ-მავალ მატარებელზე. დიდძალი ხალხი მიეგება მაშინ, როდესაც დეპუტაციები შედიოდნენ ვაგონში. ისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს სამედიატორო სამართალს!“ „გაუმარჯოს კრიუგერს!“ „გაუმარჯოს ბურებს!“ მატარებელი დაიძრა 1 ს. და 50 წ. ხალხი დიდის აღტაცებით ეთხოვებოდა კრიუგერს.

**კაპშტა ტი.** 17 ნოემბერს პოლკოვნიკმა მეირიკმა იამანრთა ერთის ბატალიონით დაიჭირა 12 ნოემბერს ლიხტენბურგი; მისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. შეტაკება მაინც მოუხდა ქალაქიდან 10 მილის სიშორეზე 400 ბურთან.

**დურბანი.** 18 ნოემბერი. ბურებმა მხნედ დაიწყეს მოქმედება სტანდერტონის ოლქში. სტანდერტონთან გუშინ შეტაკება მოხდა.

19 ნოემბერი

**კელნი.** მოვიდა მატარებელი კრიუგერის სალონ-ვაგონით. აქაურს სადგურზედ ადრევე დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა, რომელიც აღტაცებით მიეგება კრიუგერს. ოფიციალურად არავინ დაჰხვედრია.

**ბერლინი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, კრიუგერი დღეს მივა კელნში; როგორ დაჰხვდებიან მას ბერლინში, სადაც ერთი კვირის შემდეგ მივა,—არავინ იცის. ამისდა მიუხედავად, მაგდებურგისა და ბერლინის საეროვნო ფერეინები ემზადებიან დასახვედრად. ნამდვილად იციან, რომ მაგდებურგსა და ბერლინში კრიუგერისთვის ოთახები დაიქირავეს. ოფიციალურ დახვედრის შესახებ არაფერი არ ისმის. კელნიდგან იტყობინებიან, ვითომ იქაურ ოფიციალურ წრეებს ცნობა მოჰსვლოდეთ, რომ იმპერატორი არ მიიღებს კრიუგერს. როგორც სჩანს, ჯერ ეს კითხვა გადაწყვეტილი არ არის.

**ლიუტიხი.** სანამ კრიუგერის მატარებელი მოვიდოდა, სადგურზე დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა. როდესაც, მატარებლის მოსვლის წინად, პლატფორმაზე გასასვლელი კარები დაკეტილ იქმნა, ხალხმა გაანტვრია კარები და გავიდა პლატფორმაზედ, სადაც ჟანდარმები ამაოდ ცდილობდნენ მის გაფანტვას. კრიუგერის წასვლის შემდეგ 300 კაცი სტუდენტების მეთაურობით წავიდა ინგლისის საელჩოსაკენ და მოახდინა იქ საწინააღმდეგო მანიფესტაცია.

**კელნი.** როგორც ისმის, ოფიციალურად აქ კრიუგერს იმის გამო არ დახვდნენ, რომ, როდესაც უცხო სახელმწიფოს მმართველი მოდის, იმპერატორის სასახლეს წინდაწინვე უნდა დაეკითხნენ. და ეს არ იყო შესრულებული. როგორც ჰფიქრობენ, ამის გამო კრიუგერი ჯერ-ჯერობით არ წავა ბერლინში.

**ლიუტიხი.** კრიუგერი აქ მოვიდა 7 საათზე. სადგურზედ იყო რამდენიმე დეპუტატი ტრანსვაალის კომიტეტის წევრი. კომიტეტის თავმჯდომარემ გადასცა კრიუგერს ადრესი ლიუტიხის მცხოვრებთაგან.

**პეკინი.** მაიორ გებზატელს, რომელმაც პეკინში გაიტანა ამბავი ჰერცოგ იორკის სიკვდილის შესახებ, ორშაბათს ღამე იორკთან გაუტარებია ერთ და იმავე სახლში. მათს ოთახებს მაყალი ათბობდა. მსახურებმა საღამოზედ მიიტანეს ოთახში მაყალი, მაგრამ გებზატელმა არ დააყენებინა ისინი თავის ოთახში და იორკსაც იგივე ურჩია. მაგრამ იორკი არ დასთანხმდა, რადგანაც ციოდა; ის დაწვა ადრე და დილას 10 საათზედ გარდაიცვალა. როგორც სჩანს, ღამე იორკი უქეიფოდ გამხდარა, რადგანაც საცვალი გამოუცვლიია. იმის გვამს ხვალ მოასვენებენ.

**შარლერუა.** კრიუგერი მოვიდა აქ მატარებლით 5 საათსა და 40 წამზედ როდესაც მატარებელი სადგურს მიუახლოვდა, დიდძალი ხალხი მიეგება კრიუგერს ყვირილით: „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარჯოს ტრანსვაალს!“ კრიუგერი არ გამოსულა ვაგონიდგან და ფანჯარასთან მდგომმა მიიღო შარლერუაში მცხოვრებ ჰოლანდიელთა დეპუტაცია. მატარებელი 5 წუთის შემდეგ დაიძრა.

**ლონდონი.** კიტჩენერის დეპეშა ბლუმფონტენიდგან 17 ნოემბერს: „გენერალი ნოკსი თავს დაესხა დევეტის უკანა რაზმს ბეიერსბეგთან, დევეტსდორპიდგან სმიტფილდში მიმავალ გზაზედ. ბრძოლამ ორი საათი გასტანა: მტერმა, რომელსაც ზურგიდგან მოუარეს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწია. უკანასკნელის ცნობებით, ნოკსი დევეტის ჯარს შეჰხვდა ტაფელბერგთან, ბეტულიიდგან 12 მილის სიშორეზედ ჩრდილოეთით. გენ. სეტპლს 15 ნოემბერს შეტაკება მოუხდა გერცოგის რაზმთან კოოფესთან, ვოლფმაკრაალის მახლობლად. ბურების დამარცხების შემდეგ სეტპლმა ლუკგაფი დაიჭირა. პეჯეტს მოუხდა ბრძოლა ვილსკნისა და ერაზმუსის შეერთებულ ჯარებთან. ბურები განდევნილ იქმნენ პოზიციიდგან. პოდპოლკოვნიკი ლლოიდი მძიმედ დაიჭრა; დაიჭრა აგრეთვე 5 აფიცერი და 50 ჯარის კაცი; 5 კაცი მოკლულ იქმნა. იუწყებიან, რომ დიდი ბრძოლა მოხდა ნოკსისა და დევეტის შუა რუკსფილის მახლობლადაო“.

**ლივადია,** 20 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე ძალიან კარგად გაატარა. საღამოს 9 საათზედ ტემპერატურა 36,6 ჰქონდა, მაჯა—72. დღეს დილით თვით-მგრძნობლობა ძალიან კარგი ჰქონდა, მადა და ღონე ემატება. დილით ტემპერატურა 36,2 ჰქონდა, მაჯა—66. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

20 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული 19 ნოემბერს კაპენგაგენიდგან გატჩინოში წამობრძანდნენ.

**სევასტოპოლი.** გუშინ სევასტოპოლელთა იდღესასწაულეს სინოპის ბრძოლის წლის თავი. სადილის დროს შავის ზღვის ფლოტის უფროსმა წაიკითხა გენერალ ბოგდანოვიჩის დეპეშა. დეპეშის ბოლოში ნათქვამია: „ნება მიბოძეთ თქვენმა ძველმა ამხანაგმა გავიმეორო ძვირფასი სადღეგრძელო რუსეთის ჯარის უმაღლესს წინამძღოლის, პეტრე ალექსის ძის გვირგვინოსან შთამომავლის, ჩვენის უძვირფასესის ხელმწიფის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა. ურა! ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა!“ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს განმეორებამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა.

**კელნი.** კრიუგერმა, მიიღო რა ლიუქსენბურგიდგან მოსულ ელჩისაგან ცნობა, რომ იმპერატორს, რომელმაც ადრევე გაანაწილა თავისუფალი დრო, სამწუხაროდ, არ შეუძლიან ამ ჟამად მიიღოს კრიუგერი, ხალასწყვიტა ბერლინსკენ აღარ გაუდგეს და ჯერ ჰოლანდიაში წავიდეს.

**შანხაი.** სიმაგრეების აგებას ხელ-ახლა შეუდგნენ იანცეზედ; აქაურს თოფხანიდგან გემებით გაჰგზავნეს ძიანიენის სიმაგრეში 20 ორას გირვანქიანი ასაფეთქებელი ნაღმი.

**კაპშტადტი.** რობერტსი ევროპაში 28 ნოემბერს მიდის.

**ვაშინგტონი.** პეკინიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ გერმანიისა და ინგლისის ელჩებს დიდი თათბირი ჰქონდათ ამერიკის ელჩთან: მუმმა ერთი საათი დაჰყო, სატოვმა—ორი საათი. არ იციან რაზედ ჰქონდათ თათბირი, მაგრამ საზოგადო აზრი ის არის, რომ კონჯერმა ელჩები მიიწვია, რათა ეცნობებინა შინაარსი ვაშინგტონიდგან მიღებულ დეპეშისა, რომელიც საზოგადო შეთანხმების ზოგიერთ მუხლს ეხება.—ლიხუნჯჩანგმა დეპეშა მიიღო იმპერატორისაგან, რომელშიაც შანსის პროვინციის გუბერნატორის დასჯის თანხმობაა გამოცხადებული; ლიხუნჯჩანგმა უბრძანა ხელქვეითებისათვის ეთქვათ, რომ იმპერატორმა გუბერნატორს გაუგზავნა აბრეშუმის ბაწარი, რომლითაც ჩვეულებრივ წინადადება ეძლევა დასასჯელს თავი ჩამოიხჩოს.—გერმანელნი მხნედ მოქმედებენ: ყოველდღე პეკინიდგან გადიან მცირე რაზმები და იშვიათად ბრუნდებიან ისე, რომ თან რამდენიმე მოკრივე არ მოიყვანონ და საომარი იარაღი არ წაართვან ჩინელებს. ამერიკის ელჩი ტიანძინიდგან იუწყება ტიანძის გარეშემო თანდათან „დიდის მუშტის“ მოქმედების გაძლიერების შესახებ.

**კელნი.** კრიუგერმა მიიღო, სხვათა შორის, ბონნის უნივერსიტეტის სტუდენტთა დეპუტაცია და ძველნემენცთა კავშირის დეპუტაცია.

**ბელგრადი.** ადგილობრივ საკრებულო ტაძარში მიტროპოლიტის ინნ-კანტისა და სამღვდელოების მიერ გარდახდილ იქმნა პ რაკლისი რუსეთის იმპერატორის დღეგრძელობისათვის. პარაკლისს დაესწრნენ მეფე, მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი და დიდძალი ხალხი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

23 ნოემბერი.

სერგო რიჟამაძისა და ეზეკია ბუცრიკიძისა, რომელთაც გაძარცვა ედება ბრალად.

დავით ძოწენიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ედება ბრალად.

თავ. ილია ხიდირბეგიშვილისა, რომელსაც შეურაცხების მიყენება ედება ბრალად.

28 ნოემბერი.

იოსებ ხიშიბაშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე ბიწაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1 ნაწილის მე-1465 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

## ახალი წიგნი

ჩვენ მივიღეთ „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდგან“, რვეული მე II, შედგენილი ა. ქუთათელაძის მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცემული, 163 გვერდს შეიცავს და ღირს შვიდ შაურად.

## განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. Ю. (48—6.—28)